



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 4/9

2023 წლის 2 ქსეთი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის სესხის აღების თაობაზე
თანხმობის მიცემისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს, მიმდინარე წლის დასაწყისში წარმოეშვა ფინანსური სიმძნელები. ბიუჯეტით დაგეგმილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.

იანვარ-თებერვალში შემოსულობებმა შეადგინა 1 920.0 ათ. ლარი, სულ მარტი-მაისის თვეში საპროგნოზო შემოსულობა მოსალოდნელია 3 500.0 ათ. ლარი. ნაშთი შეადგენს 500.0 ათ. ლარს, ხოლო მარტი-მაისის თვეში დასაფინანსებელი ვალდებულებები წარმოადგენს 7 500.0 ათ. ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადის პროპორციული შემოსულობები შექმნის ფინანსურ სიმძნელებს მარტი-მაისის თვეში აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულებები იურიდიული პირებისაგან. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულზე მეტი მოცულობით აიღოს სესხი მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის სახელით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობით, სესხს იღებს და შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ბექა ვაჭარაძე) დააყენოს საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად უპროცენტო სესხის მიღების თაობაზე 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ბექა ვაჭარაძე), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს სასესიო ხელშეკრულებას 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშელაშვილი